ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6161327

ნომერი: AR1926872

თარიღი : 05.10.2022

გაცემის თარიღი : 12.10.2022

გაცნობის თარიღი : 12.10.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ექვთიმე ხელაძის ქუჩა, N 3;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან კალანდარიშვილი პ/ნ 01015008724
- ალექსანდერ ჯაფარიძის 10

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 27 სექტემბრის №6139572 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 5 ოქტომბერს №AR1926872 განცხადებით მომართა ლევან კალანდარიშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2022

წლის 27 სექტემბრის №6139572 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 27 სექტემბრის №6139572 ბრძანებით შეთანხმდა №01.72.14.014.281 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 27 სექტემბრიდან 2024 წლის 27 დეკემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2022 წლის 27 სექტემბრის №6139572 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ სურს საზაფხულო ფართობად 628.0 კვ.მ-ის ნაცვლად 633.1 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 987.4 კვ.მ-ის ნაცვლად 986.4 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 67.0 კვ.მ-ის ნაცვლად 94.8 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 6081.5 კვ.მ-ის ნაცვლად 6113.4 კვ.მ-ის დაფიქსირება.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გეგმები და შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, +6.00, +9.30 ნიშნულებისა და სახურავის არქიტექტურული გეგმები არ იცვლება, უბრალოდ აღნიშნულ გეგმებზე ხდება ფართობების დაზუსტება და ტექნიკური შეცდომების შესწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 27 სექტემბრის №6139572 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 27 სექტემბრის №6139572 ბრძანებაში და ტენიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საზაფხულო ფართობად დაფიქსირდეს 633.1 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 986.4 კვ.მ., დამხმარე ფართობად - 94.8 კვ.მ., საერთო ფართობად - 6113.4 კვ.მ.
2. სამსახურის 2022 წლის 27 სექტემბრის №6139572 ბრძანებით შეთანხმებული +6.00, +9.30 ნიშნულებისა და სახურავის არქიტექტურული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულებისა და სახურავის შესწორებული არქიტექტურული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 27 სექტემბრის №6139572 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 27 სექტემბრის №6139572 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.